ლელო

№ 54
(11 304)

16 – 19 ივლისი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

COPA AMERICA

18 ივლისს ფინალია:

ურუგვაი – ბრაზილია

იხ. მე-3 გვ.

ერიჰა!!!

სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი თურმე ყველაზე მეტად ქართულ სპორტს, კერძოდ, ფეხბურთს და მწერალთა კავშირს არ სწყალობს...

საგადასახადო კოდექსის ამდენი მუხლების წაყენებით და ამოქმედებით, ქართულ ფეხბურთს „მგლის მუხლი" ნამდვილად აღარ შერჩება

ამ პრობლემებთან დაკავშირებით მასალებს „ლელოს" დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდზე გაეცნობით.

თქვენც იცოდეთ...

● **თბილისს.** პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის „ოსტატთა კლუბი" სტადიონის ადმინისტრაციას 10 წლის ვადით იჯარით გაუცია. ამ ფაქტმა დინამოელ ვეტერან-ფეხბურთელთა აღშფოთება გამოიწვია და საპროტესტო წერილი გაუგზავნეს ქვეყნის პრეზიდენტს.

● **საქართველოს** განათლების სისტემის წარმომადგენელთა ახალშექმნილ ასოციაციაში (პრეზიდენტი ელგუჯა გუგუშვილი) ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ტურიზმის კომისიას სათავეში ჩაუდგა ვეტერანი წყალბურთელი, სპორტის ოსტატი თემურ ლორთქიფანიძე.

● **თბილისის** მერიაში გამართულ ოპერატიულ თათბირზე, ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ განაცხადა, რომ „დინამოს" სტადიონმა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 97 პროცენტი უკვე გაიღო იმის მიუხედავად, რომ სტადიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სავაჭრო და სხვა ობიექტებიდან, ქალაქის ბიუჯეტს ერთი თეთრიც არ მიუღია. ამიტომ, სტადიონზე უნდა გაიგზავნოს კომპლექსური შემმოწმებელი ჯგუფი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს თუ რა ხდება.

● **დიდი ხნის** ლონდონის შემდეგ, სპორტის მუშაკები, მათ შორის ფედერაციებში დასაქმებულნი, ამ დღეებში გაუცემელი ხელფასიდან ნაწილს – ორი თვის განმავლობაში მიიღებენ.

ბაკურიანი. გოგი თოფაძე საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებთან და ექსპერტებთან.

გოგი თოფაძე ქართული სპორტისთვისაც №1 ბიზნესმენია



გოგი თოფაძე ნაგანოში

ქართულ ბიზნესს თუ მომავალი უწერია, იგი გოგი თოფაძისა და მისნაირი ერთეული პიროვნებების მიერ ფუძეჩაყრილ ტრადიციებზე აღმოცენდება უთუოდ. საერთოდ, ასეა, თუ ყოველ ახალ საქმეს გონიერი ლიდერი გამოუჩნდება, წინ გიგანტური ნაბიჯებით წაიწევს. ამის მაგალითი ჩვენს ეროვნულ სპორტშიც უამრავია. მაგრამ საქართველო ხომ შურიანთა და ჩასაფრებულთა ქვეყანაცაა. ამიტომ ასე იოლად ვერ იკვლევს გზას სიახლე და პროგრესი. გოგი თოფაძემ ყველაფერი გამოსცადა... და მაინც, ქართული ბიზნესის მეტრად დარჩა — ახლა შეიძლება ეს დაბეჯითებით ითქვას. ისეთ ქვეყანაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ხონჩა-სინით არავინ მოგართმევს უპირველესი ბიზნესმენის ტიტულს, მით უფრო, ზედიზედ — ორჯერ. გოგი თოფაძე უკვე ყველასათვის საოცნებო ამ ტიტულის ორგზის ლაურეატია. ის ამჯერადაც ნამდვილად აღმოჩნდა შურზე მაღლა.

საუკეთესო ბიზნესმენის სახელის დამკვიდრება მხოლოდ პროფესიული ჯილდო როდია. გარკვეული დოზით პიროვნული ღირსებებიც იდება სასწორზე.

საქართველოს სპორტულ სამყაროს ეამაყება, რომ ქვეყნის №1 ბიზნესმენი კვლავ „ჩვენი კაცია". დიახ, გოგი თოფაძე ქართულ სპორტთან ყმაწვილკაცობიდან იყო დაკავშირებული. აგერ, რამდენიმე წელია, სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციას უდგას სათავეში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გოგი თოფაძე რომ არა, ჩვენი სპორტული დელეგაცია შარშან, ნაგანოში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ვერ გაემგზავრებოდა. მაგრამ გოგი თოფაძე ხომ ყველა სპორტის სახეობების, საერთოდ ქართული სპორტის შემწეა. აღარაფერს ვამბობთ ცალკეული პიროვნებების დახმარებაზე. ჩვენი გაზეთის ნომინაციით ჯერ 1997, შემდეგ კი 1998 წლის შედეგებით, გოგი თოფაძე აღიარებულ იქნა ქართული სპორტის წლის საუკეთესო სპონსორად.

ახლა მისი ფიქრი ბაკურიანს დასტრიალებს. ჩამოიფანა და აწვია კიდეც ამ „თეთრ მარგალიტს" საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ექსპერტები. აქაც, ჩანაფიქრის განხორციელებაში თუ ხელს არ შეუშლიან, ბაკურიანი ახალი საუკუნის დასაწყისში ახალ სიცოცხლეს შეიძენს და ეს იქნება თვით გოგი თოფაძის სახელის უკვდავება.

თენგიზ გაჩეჩილაძე

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები

ჟიუდოისტებმა მეტი რაღა ჰქნან...

ESBJERG — EUROPEAN YOUTH OLYMPIC DAYS 1999 — DENMARK

ეს კომპლექსური ასპარეზობა დანიის ქალაქ ესბერგში ტარდება. საქართველოდან, როგორც ადრე გაუწყეთ, 14 სპორტსმენი გაემგზავრა საასპარეზოდ (ორ-ორი ველოსპორტში, ჩოგბურთში და მძლეოსნობაში, დანარჩენი — ჟიუდოში).

სეოკ-ის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ ახმეტელმა ზეზვა ებელაშვილმა (60 კგ) ჟიუდოისტთა ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზა და უძლიერესის სახელი მოიპოვა. პირველ ოქროს მედალს დავით სებისკვერიძის (66) და ზვიად ხანჯალიაშვილის (მძიმე) „ვერცხლი" მოჰყვა. მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა აგრეთვე გიორგი თოთლაძე (73), ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ მინდია ბოდაველი (81), ჯაბა გოგიშვილი (90) და იოსებ მეზვრიშვილი (50).

ხელი მოეცარათ ჩვენს ჩოგბურთეულებს. მძლეოსნობიდან კი როსტომ ჭინჭარაული ბირთვის კვრაში – 17.76 მ. IV ადგილზე გავიდა 21 მონაწილეს შორის, შუბის ტყორცნაში იგი IX იყო – 54,20 მ. არც ველომრბოლებს გაუმართლა. ბესიკ მიქელაძე წრიულ რბოლას საერთოდ გამოეთიშა, გიორგი ქევხიშვილი კი 45-ე დარჩა 48 მონაწილეთაგან. ინდივიდუალურ რბოლაში, სადაც 65-მა სპორტსმენმა აიღო სტარტი, ქევხიშვილი 30-ე, ხოლო მიქელაძე – 58-ე იყო.

ასე რომ, ყველაზე მეტად თავი გამოიჩინეს ჟიუდოისტებმა. მხოლოდ ერთი – ნიკოლოზ ალჩიევი დარჩა უმედლოდ.

უნივერსიადაზეც ჟიუდოისტებმა იყოჩაღეს

ესპანეთის ცნობილმა დე მალიორკამ მსოფლიო უნივერსიადას უმასპინძლა. საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა გივი მძელურმა გვაცნობა, რომ უნივერსიადის ვერცხლის მედალი მოიპოვა გორელმა ჟიუდოისტმა რამაზ ჩოჩიშვილმა (აბსოლუტური წონითი კატეგორია). ივერი ჯიქურაულს (100) და ნესტორ ხერგიანს (60) ბრინჯაოს მედლები ხვდათ.

ფიბამ ევროპის თასების გათამაშების ახალი სისტემა შემოიღო

იხ. მე-3 გვ.

ამერიკის და ვახტანგ იაგორაშვილის გუნდი მესამეა

ვახტანგმა, როგორც ამერიკის მოქალაქემ, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი თანაგუნდელებთან ერთად, ცხადია, აშშ-ს მოუტანა. ჩვენმა ბრინჯაოს ოლიმპიურმა პრიზიორმა (სეული, 1988), ბოლოს საქართველოს სახელით ატლანტაშიც იასპარეზა, მაგრამ წარუმატებლად.

ამ მსოფლიო ჩემპიონატში წარმატება წილად ხვდა მასპინძლებს – უნგრეთის ნაკრებს, მეორე რუსეთელები იყვნენ, მესამე – აშშ-ს ნაკრები.

ევროპის ყველა ჩემპიონატი

იხ. მე-5 გვ.

გფრ 1988

წოდებების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საქართველოს სპორტის დაესახურებული მუშაკის" წოდება მიანიჭა:

ლამარა ბენგაშვილს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის გამგის მოადგილეს.

თეიმურაზ ერემეიშვილს – ქუთაისის „შევარდენის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს;

დიმიტრი მჯედლიძეს – გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" სპორტულ მიმომხილველს;

აბესალომ იორდანიშვილს – დუშეთის რაიონის სპორტკომიტეტის მთავარ სპეციალისტს.

საქართველოს დაესახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ:

თ. კაკულიას – ფარიკაობა (აფხაზეთი);

ვ. აღეიშვილს – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (თბილისი);

ბ. ლაბაძეს – ჩოგბურთი (თბილისი);

დ. პავლიაშვილს – სამბო (გორი);

ბ. ბერიშვილს – ველოსპორტი (ზესტაფონი).

ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი – 1.9350 ლარი.

სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი თურქე ყველაზე მეტად ქართულ სპორტს, კერძოდ, ფეხბურთს და მნერალთა კავშირს არ სწყალობს...

ეს მსგავსება მას შემდეგ აღმოვაჩინეთ, რაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№27, 1999 წ.) ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების ყურადღების მისაქცევად, რუბრიკით „რედაქტორის გვერდი", გამოქვეყნებულ წერილს გავეცანით. მსგავსება კი ჰეშმარიტად იდენტურია. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ხსენებული გაზეთის მთავარი რედაქტორი თამაზ წიგნიკაძე (სხვათა შორის, სპორტის ჟურნალისტი, თითქოს ქართული სპორტის. ეროვნული ფეხბურთის მესვეურთა სათქმელსაც გამოხატავს, როცა თვით ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვებს იშველიებს. - აი, ისიც: ***„შეიძლება, 2 წლის განმავლობაში პრეზიდენტის რეზოლუციები ასე კაბინეტიდან კაბინეტში ტრიალებდეს? და ამ პრეზიდენტს პრეზიდენტი ერქვას! ან არადა, ქვეყანას ქვეყანა ერქვას?".***

ქართული ფეხბურთის „ლაფში ჩაფლული ურემი". ბევრს შინმიტანილი პგონია...

ქართული ფეხბურთის პრობლემები გაუთავებლად მოგორავს და იმდენად მძლავრობს, რომ წინააღმდეგობის უნარსაც კი უკარგავს იმ ადამიანებს, ვინც ვალდებულია იგი, თუნდაც... მკერდით შეაჩეროს.

ერთიანი ეროვნული პოლიტიკა არ გვაქვსო — გაიძახიან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები. არ გვჯერა, რომ ამ ფრაზაში ისინი ზოგადად ქართულ სპორტს და, კერძოდ, ქართულ ფეხბურთს გულისხმობენ. მაგრამ ამ სფეროშიც რომ არ გაგვაჩნია ერთიანი ეროვნული პოლიტიკა, ცხადზე უცხადესია! ისე, ფეხბურთი, სიამაყის განცდა მისი წარმატებებით (თუ კიდევ იქნება როდისმე) ყველას სურს და უნდა, შემწეობა კი — არავის. დიდი-დიდი, სადმე ვინმეს ორიოდე სასიკეთო სიტყვა დასცდეს. თუმცა, ხმამაღლა და საჯაროდ ამასაც გაურბიან, აქაოდა, დანაქადნი წინ არავინ დამახვედროსო. სხვათა შორის, იგივე ითქმის პარლამენტში ქართული სპორტის „ინტერესების დამცველთა" მისამართით.

ასეთ შესავალს ძირითადი თემის პროლოგად თუ რატომ მოვუხმეთ, ქვემოთ შეეცდებით უკეთ დაინახოთ.

ალბათ სათვალავი არ აქვს რამდენი საგანგაშო წერილი შევიდა ხელისუფლებაში ქართული სპორტის მესვეურთაგან და რამდენს არ გამოუღია არანაირი შედეგი. ბუნებრივია, უყურადღებობით გულნაკლული სამართლის მაძიებელი, მერე უფრო ზევით აკაკუნებს კარზე და შველას ითხოვს. სულ ზევით კი პრეზიდენტია, ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი. საქართველოს პრეზიდენტს ნამდვილად ვერავინ დასწამებს, რომ ქართული სპორტის პრობლემებისადმი, ისევე როგორც ქართული კულტურისადმი და ქართული მწერლობისადმი, უყურადღებობას იჩენდეს. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ დღეს სხვა დროა და განკარგულება — რეზოლუციების შეუსრულებლობისთვის „ტყვეს აღარავის აძრობენ". იქნებ ამან გაათამამა შემსრულებლები.

აგერ უკვე რამდენი ხანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დახმარებას მოითხოვს პრობლემების მოგვარებაში, ურომლისოდ აღმავლობის გზით ვერანაირად ვერ წავა ქართული ფეხბურთი. არა და არა! სფფ-ს წერილებს გულდასმით იხილავს პრეზიდენტის კანცელარია, პირადად პრეზიდენტი, ჩნდება დამაიმედებელი რეზოლუციები, მითითებები, მაგრამ...

ადრინდელს თავი დავანებოთ. აი, სულ ბოლო წერილი სფფ-დან და პრეზიდენტის შესაბამისი რეზოლუციები ბატონების ***ვ. ლორთქიფანიძის, ლ. პაპავას, მ. ჩიკვილაძის, კ. ასათიანის და ვ. ზოდელავას სახელზე: „დროა საბოლოოდ გადაწყვიტოთ ფეხბურთისათვის ხელშეწყობის საკითხი.***

სასწრაფოდ წარმოადგინეთ წინადადებები". ე. შევარდნაძე.

სხვათა შორის, პრეზიდენტის კანცელარიას, ადრესატთა შორის, სახელმწიფო მინისტრი ვ. ლორთქიფანიძე არ ჰყავდა მოხსენიებული. პრეზიდენტმა კი მისი გვარი საკუთარი ხელით მიაწერა ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა სათავეში იმ იმედით, რომ ახლა მაინც, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდებოდა ქართული ფეხბურთის განვითარების შემაფერხებელი პრობლემები.

იქნებ სფფ ისეთ რამეს ითხოვს, რაც ამსურდი და მიუღებელია. ასე რომ არ არის, რეზოლუციის ტექსტი ამას მკაფიოდ ადასტურებს. მაგრამ გვინდა მკითხველმაც იცოდეს თუ რა მოთხოვნებზეა ლაპარაკი. აქვე სრულად გთავაზობთ ვრცელ ამონაწერს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ სფფ-ს წერილიდან:

„ბატონო ედუარდ! გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომელთა გადაწყვეტის გარეშეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ვერ შეძლებს არსებობას და, აქედან გამომდინარე, ვერც საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად იმუშავებს.

1. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გრანტის მჩუქებელი შეიძლება იყოს საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია (ჩვენს შემთხვევაში ფიფა, უეფა) ან ქვეყნის მთავრობა. ეს წესი, სამწუხაროდ, არ ვრცელდება სპორტული ფორმა-ინვენტარის მწარმოებლებზე. არადა, მსოფლიოს მწარმოებლები მზად არიან დაეხმარონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ კანონით ეს არ იქნება გრანტი და დაიბეგრება ყველა სახის გადასახადით. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუ შესაბამისი კანონი ჩასწორდება შემდეგნაირად:

„გრანტის მჩუქებელნი ფეხბურთში (სპორტში), შეიძლება იყვნენ სპორტული ფორმის, ინვენტარის ან მოწყობილობათა მსოფლიოს მწარმოებლები და კერძო პირები იმ გარანტიით, რომ არ მოხდება მიღებული ქონების სავაჭრო რეალიზაცია და უსასყიდლოდ დაურიგდებათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტებს".

2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ შესყიდული და კლუბებსა და სკოლებზე უსასყიდლოდ გადაცემული სპორტული ინვენტარი (ხელოვნური მოედანი, კარები, ბადე, ბურთები და ა.შ.) ფეხბურთისათვის იგივეა, რაც მრეწველობისათვის ჩარხები, აღჭურვილობები და ტექნოლოგიური ხაზები. რატომ უნდა ვიხდიდეთ მრეწველებთან შედარებით 5-ჯერ მეტს (ისინი ხომ ჰყიდიან თავიანთ პროდუქციას, ჩვენ კი უსასყიდლოდ გავცემთ)? სასურველია, კანონში იქნას შეტანილი შესაბამისი ცვლილება, რომელიც გაითვალისწინებს ჩვენს გათანაბრებას მრეწველებთან.

ვფლობთ რა სააქციო საზოგადოება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის აქციათა მხოლოდ 5 %-ს (51% ეკუთვნის ქ. თბილისის მერიას), საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფადან მიღებული 1 მილიონი შვეიცარიული ფრანკის ოდენობის კრედიტი, რომელიც სტადიონზე 21500 ინდივიდუალური სკამის დამონტაჟებას მოახმარა (კრედიტი გამოყოფილია 20 წლის ვადით 2%-იანი დარიცხვით და უნდა დაიფაროს 2018 წელს). ჩვენ ვთვლით, რომ თბილისის მერიამ დაუჯვნებლივ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სტადიონის განათების საკითხი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (600-დან 12000 ლუქსამდე) და დაიწყოს სტადიონზე დამატებითი ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება. თუ ეს არ გაკეთდა. ს.კ. თბილისის „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის ფინალურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში მატჩების ჩატარება ფიფას მოქმედი წესებით ეროვნულ სტადიონზე შემოდგომიდან შეუძლებელი გახდება. ვერც ნაკრები ითამაშებს ეროვნულ სტადიონზე.

ბატონო ედუარდ! ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია დღეს ქვეყანა და მაქსიმალურად ვცდილობთ, დამატებითი პრობლემები არ შევუქმნათ სახელმწიფოს. მაგრამ არსებობს რიგი ზემოხსენებული საკითხებისა, რომლებსაც თქვენი ჩარევის გარეშე ვერ გადავწყვეტთ. სწორედ ამიტომ მოგმართავთ წინამდებარე წერილით.

დასასრულს, გვსურს მოგაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1999 წლის 22 მარტიდან საქართველოს ბანკში ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშს ყადაღა ადევს. ამის მიზეზი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 1992-1998 წლების დროინდელი სახელმწიფოსადმი დავალიანებაა, რომელთანაც ჩვენ, დღევანდელ ხელმძღვანელობას არავითარი კავშირი არა გვაქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაღიარებთ აღნიშნულ ვალს და გთხოვთ მხოლოდ მისი დაფარვის გადავადებას. აღნიშნულის შესახებ 1998 წლის დეკემბერშიც გაცნობეთ, მაგრამ თქვენი რეზოლუციის მიუხედავად, ჩვენი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. მეტიც, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშს ყადაღა დაედო...

ვფიქრობთ, დაპატიმრებული ანგარიში, რომელმაც ფედერაცია კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა, უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტზეც, ჩვენი ვალის რესტრუქტურიზაცია კი, რომელსაც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებიდან ნაწილ-ნაწილ დავფარავთ, მას დიდად წაადგება.

ბატონო პრეზიდენტო! გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადახედოთ აღნიშნულ საკითხს და შესაბამის ორგანოებს დავალოთ მისი განხილვა.

პატივისცემით მ. ᲣᲛᲠᲓᲐᲜᲘᲐ,
საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის პრეზიდენტი".

და დაავალა კიდეც ქვეყნის პრეზიდენტმა. მეტი რაღა უნდა ეთქვა და სხვა ვისთვის უნდა დაევალებინა. ასეთ რეზოლუციას და ქვეყნის ასეთი მაღალჩინოსანი ხელმძღვანელებისათვის საქმის გადაბარებას, ვინ არ ინატრებდა. მაგრამ, რად გინდა — ინატრე და იყავი!..

ბოლოს ისევ მწერლებთან პარალელს დავუბრუნდებით. თავში რომ მთავრობის ერთ-ერთი სხდომა ვახსენეთ, სწორედ იმ შეკრებაზე გადაუჭრელ პრობლემებთან დაკავშირებით, თამაზ წიგნიკაძისათვის ამ სიტყვებითაც მიუმართავს ქვეყნის პრეზიდენტს: ***„ბატონო თამაზ, აი, ამ ბიუროკრატიისათვის მე შენც პირადად და მთელს მწერლობასაც ვუხდი ბოდიშს, არა იმისთვის, რომ ვერ გადავწყვიტეთ, არამედ, აი, ამ ბიუროკრატიისათვის!"***

დასკვნა თქვენთვის მოგვინდვია, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებო!

თენგიზ გაჩეჩილაძე

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ საქართველოს ჩემპიონატი

თბილისში ოლიმპიური რეზერვის ფრენბურთის სკოლამ ფუნქცია დაკარგა

სხვანაირად ვერ შეაფასებ ერთ დროს საქართველოში ფრენბურთელთა აღზრდის ამ უძველესი კერის დღევანდელ ყოფას

საქართველოს ჩემპიონატში ხსენებული სკოლიდან მხოლოდ ქალთა გუნდი მონაწილეობდა და ძლივს მიაღწია მეორე ტურამდე, ვაჟთა გუნდი კი უბრალოდ... ვერ დააკომპლექტეს. აი, სადამდე მივიდა ერთ დროს პრესტიჟული და მქუხარე სახელის სპორტული სკოლა. ნუთუ არავის აწუხებს სკოლის ასეთი დაცემა?

ჩემპიონატის დასკვნით მეორე ეტაპს ბათუმმა უმასპინძლა. თბილისსა და დიდ ჯიხაიშში კი ამის შემდეგ ჩემპიონობისა და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას განაგრძობენ ქალთაგან — სპორტკლუბ „კოლხის", თსუ-ს, ბათუმის უნივერსიტეტისა და დიდი ჯიხაიშის კოლეჯის, ვაჟთაგან — სამხედრო აკადემიის, ბათუმის კოლეჯის, აგრარული უნივერსიტეტის და „კოლხის" გუნდები. აქვე დავძენთ, რომ მართალია, ფინალურ ეტაპამდე ვერ მიაღწია, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში პირველად გამოვიდა სარბიელზე კახეთის ვაჟთა ნაკრები.

SOS ***ჩემპიონატს ჩრდილი მიაყენა სამხედრო აკადემიის მწვრთნელმა ვლადიმერ ასლანიდმ, რომელიც ნასვამი კი არა, გალეშილი გამოცხადდა თამაშზე და დებოში ატეხა. შემდეგ ოსტატს შეგირდმაც მიბაძა და ერთ-ერთ მატჩში მსაჯ იგორ ნესუაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მსაჯთა კოლეგიამ ორივე თავგასულის მიმართ გაატარა ადმკვეთი ღონისძიება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ეროვნული ჩემპიონატის ღირსების შემლახველებზე ფედერაციამ ალბათ საგანგებოდ უნდა იმსჯელოს.***

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲞᲚᲐᲟᲖᲔ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲡᲐᲞᲚᲐᲟᲝ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲗ.

აქ ვაჟთა 12 და ქალთა 8 გუნდი იბრძოდა წარმატებისთვის. ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა სულხან ახვლედიანისა და ვახტანგ ჩიქოვანის თბილისურმა წყვილმა, მეორე ადგილზე გავიდნენ მათი თანაქალაქელები რომან გავაშელი და გიორგი ხუროშვილი, ბათუმელები სერგო ანდრიადი და მერაბ კაკალაშვილი მესამე ადგილს დასჯერდნენ.

ქალთა შორის ადგილები განაწილდა ასე: 1. ტატიანა იასკო — ოქსანა დუდა, 2. მარინა ჩირინაშვილი — ლელა ჩუგუაშვილი, 3. ნინო მეტრეველი — ოქსანა ტკაჩუკი (ყველა თბილისიდანაა).

აღსანიშნავია, რომ პლაჟის ფრენბურთის კავშირი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბიზნესმენი ალეკო სარიშვილი, თანამოაზრეებთან ერთად მიზანმიმართულად ეწევა ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის დანერგვას.

„ლელოს" კორ. ბათუმი

ოქსანა დუდა (მარცხნივ) და ტატიანა იასკო

სულხან ახვლედიანი (მარცხნივ) და ვახტანგ ჩიქოვანი

ᲚᲔᲚᲝ – ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲡᲘᲐᲜᲔ

რა ხდებოდა 50 წლის წინათ...

პირველი ქართული გაზეთის „საქართველოს ფიზკულტურელის" (გამოდიოდა 1934 წლიდან) 363-ე ნომერი 1944 წლის 10 ივლისს „ლელოს" სახელწოდებით გამოვიდა. ერთ პერიოდში შეწყვეტილმა გამოცემამ ახალი სიცოცხლე დაიწყო. წლეულს პირველი გაზეთის 55-ე და „ლელოს" სახელით გამოცემის განახლებიდან კი 50 წელი გასრულდა.

ვინაიდან საქართველოში სპორტის აღმავლობა განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ იწყება, რაც სსრ კავშირი საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანდა და მსოფლიოს ოლიმპიურ მოძრაობაში ჩაერთო, გადავწყვიტეთ თქვენთან ერთად, ძვირფასო მკითხველო, თვალი გავადევნოთ სწორედ ამ ნახევარსაუკუნოვან ისტორიას. „ლელო" ხომ ქართული სპორტის მემატიანე იყო იმთავითვე.

„ᲚᲔᲚᲝ" №1, 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1949 Წ.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მძლეოსანთა შეჯიბრებები ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით. „მამაკაცთა პირველმა ნაკრებმა პ. გოლოვკინის, ლ. სანაძის, ს. კომაროვის და ნ. კარაკულოვის შემადგენლობით შესანიშნავ წარმატებას მიაღწია, ამანათრბენში 4X100 მ. გუნდმა მანძილი 41,8 წ. დაფარა".

● **ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ** საწყლისნო სახეობებშე მოსკოვში გამართულ სსრკ — ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო მატჩთან დაკავშირებით: „დაძაბული ბრძოლით ხასიათდებოდა მატჩი წყალბურთში სტუმრების ნაკრებ გუნდსა და მოსკოვის „ტორპედოს" შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:3. სპორტის ოსტატმა პ. მშვენიერაძემ 3 ბურთი გაიტანა."

● **„ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ** ტელეგრაფმა სასიხარულო ცნობა მოიტანა — მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ნინო დუმბაძის უკანასკნელი მიღწევა ბადროს ტყორცნაში 53 მეტრი და 25 სანტიმეტრი — მსოფლიო რეკორდად დაამტკიცა".

„ᲚᲔᲚᲝ" №2, 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1949 Წ.

● **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** და ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო შეხვედრა წყალთა სახეობებში დამთავრდა „ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების ნაკრები გუნდების მატჩით წყალბურთში. შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 7:2. ხუთი ბურთი სტუმრების კარში გაიტანა სპორტის ოსტატმა პ. მშვენიერაძემ".

ᲐᲗ–ᲐᲗᲘᲐ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

ფიდემ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების ახალი რეიტინგ-ლისტი. აი, პირველი ათეულები ამ გრძელი სიიდან:

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ: 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) — 2851 პუნქტი. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 2771. 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) — 2760. 4. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — 2758. 5. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — 2734. 6. ბორის გელფანდი (ისრაელი) — 2713. 8. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — 2709. 8. მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 2708. 9. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) — 2702. 10. პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 2701.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ: 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2671. 2. ალისა გალიამოვა (რუსეთი) — 2556. 3. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — 2551. 4. სიუ უუნი (ჩინეთი) — 2528. 5. ნანა იოსელიანი (საქართველო) — 2504. 6. პია კრამლინგი (შვეცია) — 2504. 7. ჩენ ჯუ (ჩინეთი) — 2503. 8. სოფია პოლგარი (უნგრეთი) — 2500. 9. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — 2497. 10. ალისა მარინი (იუგოსლავია) — 2489.

ამ სიაში არ არის უუუა პოლგარი, იმის გამო, რომ იგი 1996 წლიდან მოუყოლებული, არსად თამაშობს. როგორც კი სატურნირო გამოსვლებს განაახლებს, კვლავ აღდგენილი იქნება „რეიტინგ-ლისტში".

საგადასახადო კოდექსის ამდენი მუხლების წაყენებით და ამოქმედებით, ქართულ ფეხბურთს „მგლის მუხლი" ნამდვილად აღარ შერჩება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღიარა მემკვიდრეობით გადმოცემული ვალები, მაგრამ გადახდის გადავადება მოითხოვა, რათა ქართული ფეხბურთის განვითარება არ შეფერხდეს. ამასთან დაკავშირებით სფფ-მ, როგორც იტყვიან, ქვეყანა შესძრა და ნაცვლად მხარდაჭერისა... მიიღო „საგადასახადო გაფრთხილება", რითაც დიდუბის ინსპექცია იტყობინება, რომ დავალიანება შეადგენს 311.626 ლარს და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ დაფარვას. შემდეგ ჩამოთვლილია საგადასახადო კოდექსის ის მუხლები, რომელიც ამოქმედდება გადაუხდელობის შემთხვევაში. სულ ბოლოს მოხსენიებულია 247-ე მუხლი, რომლის ამოქმედება სფფ-ს და ქართული ფეხბურთის აღსასრულს მოასწავებს...

სხვათა შორის, ბენელუქსის ქვეყნებში სტუმრობის დღეებში ჰოლანდიელებთან გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკურ საკითხებზე საუბრის შემდეგ, ყურადღება ფეხბურთზე გადაიტანა და თქვა, რომ საქართველო ჰოლანდიას ფეხბურთელებით მოამარაგებს. ჰოლანდიელებმა კი მწვრთნელებით მოგვამარაგონო. ცხადია, ამას რომ ამბობდა, ბოსკამპს და ქართველ ლეგიონერ ფეხბურთელებს გულისხმობდა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი.

საქართველოში ფეხბურთი თუ ჩაკვდება, რაღა ფასი აქვს ასეთ „ბარტერს"?

ჩემპიონთა ლიგა

I საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი წრის მატჩები

საფეხბურთო ევროპაში გამართული ამ მატჩებიდან ჩვენთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მატჩი დუბლინში, სადაც ადგილობრივი „სენტ პატრიკი“ მოლდოვას „ზიმბრუს“ მასპინძლობდა. როგორც ცნობილია, ამ გუნდებს შორის გამარჯვებული II საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქე იქნება. მოლდოველებმა, როგორც იტყვიან, პირდაპირ დაასამარეს მოწინააღმდეგე და ეჭვს აღარ იწვევს, რომ ჩვენებს სწორედ მოლდოველებთან მოუწევთ შეუპოვარი პაექრობა.

სენტ პატრიკი (ირლანდია) — ზიმბრუ (მოლდოვა) 0-5
0-1 ბერკო (29), 0-2 ეპურეანუ (35), 0-3 ბერკუ (41), 0-4 ბორეტი (72), 0-5 ეპურეანუ (85).

ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ტირანა (ალბანეთი) 1-0
1-0 იოჰანესონი (45)

სლობა იუგომაგნატი (მაკედონია) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 1-0
1-0 მემედი (66)

პარტიზანი (იუგოსლავია) — ფლორა (ესტონეთი) 6-0
1-0 ილიჩი (12), 2-0 პეკოვიჩი (25), 3-0 ივიჩი (35), 4-0 კეზმანი (54), 5-0 პეკოვიჩი (71), 6-0 ივიჩი (75).

ბარი თაუნი (უელსი) — ვალეტა (მალტა) 0-0

ლიტექსი (ბულგარეთი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 3-0
1-0 ჰაჯი (11), 2-0 ბუში (35), 3-0 პეტროვი (82)

ჰაფნარი (ფარერები) — ჰაკა (ფინეთი) 1-1
1-0 ლაკიუნი (47), 1-1 პოპოვიჩი (60), ჟენესი (ლუქსემბურგი) — სკონტო (ლატვია) 0-2
0-1 ასტაფიევი (66), 0-2 მიხოლაპსი (73)

ჟალგირისი (ლიტვა) — ცემენტი (სომხეთი) 2-0
1-0 ი. სტეშკო (45), 2-0 ა. სტეშკო (88).

განმეორებითი მატჩები გაიმართება 21 ივლისს.

COPA AMERICA

18 ივლისს ფინალია: ურუგვაი – ბრაზილია

მას შემდეგ, რაც სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში პირველ ნახევარფინალურ მატჩში ურუგვაიმ ჩილეს პენალტების სერიაში სძლია 5-3, ამ გათამაშების მრავალგზის ჩემპიონებმა ურუგვაელებმა მეორე ფინალისტის მოლოდინში მთელი 24 საათი ნერვიულ მოლოდინში გაატარეს. მექსიკა თუ ბრაზილია? „კოპა ამერიკის“ მეორე ფინალისტი სწორედ ამ მატჩს უნდა დაესახელებინა.

ჯერ ორიოდე სიტყვა ურუგვაი – ჩილეს მატჩზე ვთქვათ. ძირითადი

დრო ფრედ – 1-1 დამთავრდა. ჩილელთა მწვრთნელმა აკოსტამ ჩათვალა, რომ მსაჯები ჩაგრავდნენ მის ბიჭებს და ზღვარგადასულ ემოციებს მიეცა. არბიტრმა სათადარიგო სკამიდან გაძევება ანიშნა მწვრთნელს, რისი აღსრულებაც აკოსტამ შეაყოვნა, რის შემდეგ იგი პოლიციელებმა ძალით გაიყვანეს... სტადიონიდან. აღშფოთებულმა მწვრთნელმა თავისიანების მარცხი, აქაოდა, ჩემი შეგირდები განერვიულდნენ და ფსიქოლოგიურმა დეპრესიამ მოიცვაო, პოლიციას დააბრალა, რომლებმაც, მისი აზრით, გადააჭარბეს უფლებამოსილებას.

ბრაზილია – მექსიკის მატჩს განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ. ბრაზილიელებმა არ გააწბილეს გულშემატკივრები და მეტოქეს 2-0 სძლიეს. სხვათა შორის, ურუგვაელები ბოლოს 1995 წელს თამაშობდნენ ფინალში და მათი მეტოქე მაშინაც ბრაზილიელები იყვნენ. მაშინ პენალტების სერიის წყალობით გამარჯვება ურუგვაელებმა იზეიმეს. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად. ფინალი 18 ივლისს გაიმართება.

ფიფა დაგვეხმარება, მაგრამ ეს დახმარება მიზნობრივი იქნება...

მერაბ ჟორდანია

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში აშშ-ში ფიფას კონგრესი გაიმართა. ეს იყო პირველი კონგრესი, რომელიც ამ მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ეს კონგრესი პირველი იყო აგრეთვე სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასთვის და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთვის.

მერაბ ჟორდანია: „კონგრესზე ბევრი საკითხები არ განხილულა. წინასწარ მივიღეთ შეტყობინება ფიფას ფინანსურ მდგომარეობაზე და სამომავლო გეგმებზე. კონგრესზე გამოაცხადეს, რომ ფიფა ახლა 203 ქვეყნას აწევრიანებს. ფეხბურთს თამაშობს 300 მილიონი ადამიანი, 200 მილიონი რეგისტრირებულია, აქედან 40 მილიონი ქალია, 99,8 პროცენტს შეადგენენ მოყვარულები, მხოლოდ 400 ათასია პროფესიონალი. ითქვა ისიც, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატი უნახავს 40 მილიარდ ადამიანს (ცხადია, მაყურებელი გადამრავლებულია მატჩების რაოდენობაზე, *რედ.*).

წარმოგვიდგინეს ფიფას ახალი სტრუქტურა, რაც ბლატერის მოსვლას უკავშირდება. საყურადღებოა, რომ ფიფაში არის 5 მთავარი კომიტეტი: 1. იურიდიული, 2. ფეხბურთის განვითარების, 3. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის, 4. არბიტრების და მარკეტინგის. თითოეული აერთიანებს რამდენიმე ქვეკომიტეტს. ფიფა მყარ ფინანსურ საფუძვლებს იქმნის. ბოლო კონტრაქტი, რომელიც სატელევიზიო გადაცემებისთვის გააფორმა, მას მოუტანს 2 მილიარდ 600 მილიონ დოლარს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმის შეტყობა, რომ ფიფა თავის წევრ ქვეყნებს თითო მილიონი დოლარის დახმარებას გაუწევს ამ თანხის ოთხწლიან ციკლზე თანაბარ წილად გადანაწილებით. ეს არის მიზნობრივი თანხა და ფიფას წინასწარ უნდა ეცნობოს თუ რაში დაიხარჯება ეს ფული. გადავწყვიტეთ პირველ ეტაპზე ჩავატაროთ სფფ-ს შენობის რეკონსტრუქცია, მოვაწყოთ ნაკრების ბაზა და შევიძინოთ ავტობუსი. პროექტი მეორე დღესვე ჩავაბარეთ, რამაც ფიფაში სასიამოვნო გაოცება გამოიწვია.

როგორც ცნობილია, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებით, აზია ითხოვს ერთ დამატებით ადგილს, რამაც ფიფა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. სავარაუდოდ ფიფამ წინადადება წამოაყენა ევროპის მე-15 გუნდი გაჯიბრებოდა აზიის მე-5 გუნდს და უძლიერესი მიიღებდა ჩემპიონატის საგზურს. ასეთი განახევრებული წყალობა აზიელებმა იწყინეს და სხდომა დატოვეს, თუმცა, ბლატერმა მათ ადრევე სთხოვა, ვიდრე საფეხბურთო ოჯახის უფროსი არ ადგებოდა, მათ არ დაეტოვებინათ დარბაზი. განაწყენებულმა აზიელებმა მუქარით მაინც დატოვეს სხდომა, რამაც ძალზე უხერხული მდგომარეობა შექმნა და დისონანსი შეიტანა საერთო ერთსულოვნებაში“.

ვალერი ჩოლარია: „კონგრესის დღეებში, ცხადია, შევხვდით უფას ხელმძღვანელებს. უფა გვთხოვს, უახლოეს პერიოდში გადაწყდეს ჩვენი ერთიანი სტადიონის განათების საკითხი. ეს ყველაზე მწვავე პრობლემაა. არანაირ შეღავათს არ გაგვიწევენ. უფა გარანტიას ითხოვს. სხვა რა გზა გვაქვს, უნდა მივცეთ გარანტია, ფაქსს გავაგზავნით. მაგრამ თბილისის მერიამ, რომელიც სტადიონის აქციების პაკეტს ფლობს და თვით სპორტულმა ორგანიზაცია „დინამომ“ ყველაფერი უნდა იღონონ, რომ არ შევრცხვეთ. გარანტიის შეუსრულებლობისთვის უფა უმკაცრეს სანქციებს გამოგვიტანს“.

ხონის გამგეობის პრიზი – საწულუკიძეოს

ხონის ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი ბადრი ხაჭაპურიძე) და რაიონის გამგეობის ინიციატივით გაიმართა რაიონის საგაზაფხულო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც საკრებულოთა 9 გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობა წრიული სისტემით მოეწყო 2 ქვეჯგუფად. ფინალში შეხვდნენ სოფლების – კონტუათისა და საწულუკიძეოს ფეხბურთელები. მატჩის ბედი გადაწყვიტა საწულუკიძეოელთა ფორვარდის თემურ უგულავას მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა, რომელმაც გამარჯვება და გამგეობის დაწესებული პრიზი მოუტანა სოფელ საწულუკიძეოს ფეხბურთელებს. ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩატარდა, რაშიაც დიდი წვლილი შეიტანა მთავარმა მსაჯმა ბადრი სანოძემ.

დემურ ტორაძე,
ხონი. „ლელოს“ კორ.

„რაინდულო საქართველოვ, აღსდექ!“

„ქართული ჭიდაობის ამოუცნობი ფენომენი“

მიუნხენში ოლიმპიურ ფინალში ქართველ ფალავნებთან იაპონიის დამარცხების შემდეგ, იაპონური „ძიუდოს“ სამყაროსათვის კიდევ ერთი ქვეყანა გაჩნდა, რომელიც უნდა გაიცნონ, შეისწავლონ, აითვისონ, იაპონურად გადაიკეთონ (ანუ „მოარგონ“ იაპონურ ხასიათს) და ბოლოს იაპონურად გაასაღონ. საქართველოში ჩამოვიდნენ ვიდეო და აუდიო აპარატებით, მოიარეს ჩვენი მთა და ბარი. ძირფესვიანად გაეცვნენ ქართული ჭიდაობის სტილს, დეტალურად ფირზე აღბეჭდეს ქართული ჭიდაობის ყველა ილეთი და თავისებურებები. ყველგან გულღიად, სიამოვნებით მასპინძლობდნენ ჩვენი ფალავნები და სპეციალისტები უცხოელ სტუმრებს (დასაწყისში ეს ძალიან აოცებდათ კარჩაკეტილობით განთქმულ იაპონელებს). აჩვენეს ყველაფერი, რაც იცოდნენ და არ მოაკლეს სითბო და ყურადღება.

ერთი წუთით წარმოვიდგინე, ვთქვათ, ქართველები დავინტერესებულიყავით „ძიუ-დოთი“; აგვეღო აუდიო და ვიდეო აპარატურა, ჩავსულიყავით — მათთან და გვეთქვა (ანდა გვეთხოვა!), რომ ნება დაერთოთ გადაგვეღო „ძიუდოს“ ყველა ილეთი, ვწვეოდით ყველა ძირითად სკოლას... ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე გეტყვით, ღიმილიან ცივ უარს მიიღებდით.

რაც იაპონელებმა ქართული ჭიდაობის შესახებ ინფორმაცია წაიღეს საქართველოდან, მას შემდეგ გავესაუბრე ნაცნობ ქართველ ძიუ-დოს ოსტატებს და მითხრეს, რომ იაპონელი ძიუდოისტები ჭიდაობაში „რაღაც ქართულად ამოძრავდნენო“. მიუხედავად ამისა, ქართველი მოჭიდავეები მაინც ძლევდნენ მათ. იაპონელებმა ვერაფერი გააწყვეს „მოგვერდთან“, რომელიც ხელის ზევიდან ზურგზე გადატანით და ქამარში ხელის ჩავლებით სრულდება (იხ. იგივე სურათი). იაპონელებს ასეთი ჩავლება არ ჰქონდათ „ძიუ-დოში“ (არ გააჩნდათ). ასევე ვერაფერი „მოუხერხეს“ „შუაკაურს“. ამ ილეთებით ბევრი იაპონელი გაშხლართულა ტატამზე. და აი, პირველად „ძიუდოს“ ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ამბავი — ჭიდაობის წესებში შესწორებები შეიტანეს. ახალი წესები გაჩნდა, რათა „შეებოჭათ“ ჩვენი ფალავნები. ჯერ ხელის ზურგზე გადატანა აიკრძალა, ამით შეასუსტეს „მოგვერდი“, მერე — ილეთი, რომელსაც რაღაც დრო სჭირდება მოსამზადებლად, გააუქმეს ანუ „შუაკაურს“ მცირე დრო სჭირდება ფეხის კარგად ჩასახვევად, რომ გდებაზე წამოიღო. ვფიქრობ, ამით მათ აღიარეს ქართული ჭიდაობის უდიდესი შესაძლებლობები და მისი უპირატესობა!

აღმოსავლელი ოსტატები ამით არ დაკმაყოფილდნენ. დაიწყო „ხელოვნების ათვისების“ მეორე ეტაპი: ქართული სიმღერებისა და ცეკვების შესწავლა. ალბათ ყველას კარგად გვახსოვს რა მშვენივრად მღერიან იაპონელები ქართულ ხალხურ სიმღერებს. გავიხსენოთ იაპონური ანსამბლის სტუმრობა თბილისში, რომელმაც გაგვაოცა ქართული სიმღერების უბადლო შესრულებით...

ამ ყველაფერს დავუმატებდი კიდევ ერთ ფაქტს. ქალაქ მიუნხენში (გერმანია) ყოფნისას ჩემმა მასწავლებელმა ტოიო კობაიაშიმ მაჩვენა იაპონიაში გამოცემული დიდი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც ღრმადაა შესწავლილი ჩვენი, ქართული მაწონი. მოკლედ გეტყვით ზოგიერთი გამოკვლევების შედეგებს ამ ნაშრომიდან: პირველ რიგში შესწავლილია საქართველოს ყველა კუთხის მაწონი, როგორც კამეჩის, ასევე ძროხის; მთისა და ბარის მაწონი; მათი შემადგენლობა და რა უნიკალური თვისებები აქვს მას ჯანმრთელობის, ხანდაზმულობის, გაჯანსაღების თვალსაზრისით. გათვალისწინებულია ძროხისა და კამეჩის ჯიშებიც, ბალახის საფარი მდელოებსა და მთებში; აერაცია და კლიმატი და ა.შ.

საერთოდ, ასეა მიღებული, თუ გსურს, რომ რომელიმე ქვეყნის (ერის) რაიმე საგანძური შეისწავლო, მაგალითად, „ქართული ჭიდაობის ხელოვნება“, მაშინ აუცილებლად უნდა დაეუფლო ამ ერის ენას, ადათ-წესებს, სარწმუნოებას, სულიერ სამყაროს, ისტორიას, ფილოსოფიას, მეცნიერებას, საბრძოლო ხელოვნებებს, სიმღერას, ცეკვას, კერძებს, მთებს, მდელოებს, ტყეებს, მდინარეებს, მცენარეებს, წყაროებს, მისი მეღვინეობის უძველეს ტრადიციებს... უნდა გასცე პასუხი კითხვას, თუ როგორ გაუძლო ამ ციცქნა ქვეყანამ (აბა რაა მათთვის ხუთი მილიონი ადამიანი!) ქვეყნიერების საშინელ ორომტრიალის ხუთი ათას წელს და თანაც არ დაჰკარგა არც ერთი ზემოჩამოთვლილი თვისებათაგანი. დროებითი დაპყრობების პერიოდებში კი არც უფიქრია, არც დასჭირვებია რაიმე „გადმოეღო“ ან „ესესხა“, დამპყრობელთაგან იმდენად მდიდარი იყო ყოველმხრივ. ეს ეხება არა მარტო ჩვენი ქვეყნის შემსწავლელ და „ამთვისებელ“ პიროვნებებსა და ჯგუფებს, არამედ ეხება მთლიანად ჩვენს ხალხსაც, რომელმაც უნდა შეუნარჩუნოს და სრულფასოვნად გადასცეს ყველაფერი ერის ტრადიციების გამგრძელებელ მომავალ თაობას. აი, ასეა საქმე. გრძელდება ჩვენი გაცნობა, შესწავლა და ათვისება...

იური ყეინაშვილი,
საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი,
სპეციალურად „ლელოსათვის“

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“, №53

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„გუნდს გაძლიერება სჭირდება“

ასე ფიქრობს ინგლისის პრემიერლიგიდან გავარდნილი ცნობილი კლუბის, „ნოტინგემ ფორესტის“ — ახალდანიშნული მწვრთნელი დევიდ პლატი.

ფეხბურთელის კარიერა პლატმა შარშან ლონდონის „არსენალში“ დაამთავრა და რამდენიმე თვის მანძილზე გენუის „სამპდორიასაც“ ედგა სათავეში. ახლა მან „ნოტინგემ ფორესტთან“ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „მე ახლა საკმაოდ კარგად ვთამაშობ და თუ საჭირო იქნება, კლუბს მინდორზეც დავეხმარები“. ერთი სიტყვით, დევიდ პლატი, როგორც ეს ინგლისშია გავრცელებული, მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციების შესრულებას აპირებს.

„ნოტინგემის“ მესვეურთაგან პლატმა შემადგენლობის გასაძლიერებლად 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი (15,77 მილიონი დოლარი) მიიღო. „ჩვენ რიცხობრივი გაძლიერებაც გვჭირდება და თვისობრივიც, — განაცხადა პლატმა, — დრო კი არ ითმენს. ძალიან გვჭირდება ახალ სეზონში წარმატებითი სტარტი“.

პლატამდე „ნოტინგემ ფორესტის“ ხელმძღვანელობამ ინგლისის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ გლენ ჰოდლსაც მიმართა, მაგრამ უარი მიიღო. ასევე არ მოისურვეს პირველ დივიზიონში ჩამოქვეითებულ კლუბში მუშაობა „ლესტერ სიტის“ მწვრთნელმა მარტინ ონილმა და ჯო კინსმა, რომელიც „უიმბლდონს“ ედგა სათავეში.

ანელკა ყველას სურს

მადრიდის „რეალისა“ და რომის „ლაციოს“ გარდა, ნიკოლა ანელკას გადაბირება ტურინის „იუვენტუსსაც“ სურს.

ტურინელებმა ინგლისელებს ორი ვარიანტი შესთავაზეს: 1) 60 მილიარდი ლირა (32 მილიონი დოლარი) და დამატების სახით, საფრანგეთის ნაკრების კიდევ ერთი თავდამსხმელი ტიერი ანრი. 2) 100 მილიარდი ლირა (53 მილიონი დოლარი).

არის აზრიც, რომ სინამდვილეში „იუვენტუსს“ ანელკას ყიდვა კი არ უნდა, არამედ საქმეს უფუჭებს „ლაციოს“, რომელსაც უკვე რამდენიმე დღეა ლონდონის „არსენალთან“ კონკურეტული მოლაპარაკება აქვს. ჯერჯერობით მხარეები თანხაზე ვერ თანხმდებიან. თანხის დამატების სახით „ლაციო“ „არსენალისათვის“ ხორვატ თავდამსხმელ ალენ ბოკშიჩის დამატებასაც აპირებს.

საბონი „ჩელსიში“ ითამაშებს

ჯანლუკა ვიალის ახალ სეზონში ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ექნება გადასაჭრელი: ჩემპიონთა ლიგაში და ინგლისის ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლა. მას შემდეგ, რაც კლუბმა უმძიმესი ტრავმის გამო პიერლუიჯი კაზარაგი დაკარგა, ხოლო ბრაიან ლაუდრუპი დანიაში წავიდა, ვიალი ეძებდა ცენტრფორვარდს. ახლა, როცა „ბლეკბერნმა“ უმაღლესი ლიგა დატოვა, „ჩელსის“ მწვრთნელმა ამ კლუბიდან 10 მილიონ გირვანქა სტერლინგად (15,7 მილიონ დოლარად) შეიძინა კრის სატინი. 1997-98 წლების ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა „ჩელსისთან“ ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ეს „ჩელსის“ წლევანდელი მესამე შენაძენია მარიო მელხიოტისა („აიაქსი“) და დიდიე დეშამის („იუვენტუსი“) შემდეგ.

ფრანგებს თავისი კანონები აქვთ

ფრანგულ ქალაქ აჟაქსიოს, კლუბ „გაზელეკს“ უარი ეთქვა გამოვიდეს ქვეყნის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში, თუმცა მან ეს უფლება სპორტულ ბრძოლაში მოიპოვა.

საქმე ის არის, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის დებულების თანახმად, პატარა ქალაქებს (ასეთია კორსიკის ქალაქი აჟაქსიო) უფლება არა აქვთ პირველ ან მეორე დივიზიონში ორი გუნდი ჰყავდეთ. მეორე დივიზიონში უკვე თამაშობს ამ ქალაქის „აჟაქსიო“. „გაზელეკის“ ხელმძღვანელები ბევრს სთხოვდნენ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას მათთვის გამონაკლისი დაეშვათ, მაგრამ უარი მიიღეს. ახლა ამ ადგილს „ვალანსი“ დაიკავებს, თუმცა ეს პატივი არაფრით დაუმსახურებია.

„ბორუსიას“ დიდი თანხები

დორტმუნდის „ბორუსიამ“ შემადგენლობის გასაძლიერებლად სარეკორდო თანხები დახარჯა — „კაიზერსლაუტერნიდან“ 13,5 მილიონ დოლარად შეიძინა 29 წლის შვეიცარიელი ნახევარმცველი სფორცა. ეს უკვე ბუნდესლიგის რეკორდი აღმოჩნდა. მან გაცილებით გადააჭარბა ბრაზილიელ პაულო სერჟიოს ტრანსფერს „რომადან“ მიუნხენის „ბაიერნში“. სფორცას გარდა, წელს „ბორუსიამ“ „პარი სენ-ჟერმენისაგან“ 8,5 მილიონ დოლარად შეიძინა გერმანიის ნაკრების მცველი ვერნსი, „შტუტგარტიდან“ 7,5 მილიონად — ცნობილი თავდამსხმელი ბობიჩი, გერმანიის ნაკრების ყოფილი (და შესაძლოა, მომავალი) წევრი და ნიგერიელი ფორვარდი იკპბა, რომლისთვისაც „მონაკოს“ 8 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

მარჩელო ლიპის ოდიოზური

რა უნდა ყოფილიყო მარჩელო ლიპისთვის, რომელიც პირდაპირ განებივრებული იყო წარმატებებით, იმაზე უარესი, ვიდრე „იუვენტუსში“ გატარებული და თანაც შეწყვეტილი უკანასკნელი სეზონი. რა უნდა ყოფილიყო მილანის „ინტერისათვის“ იმაზე უარესი, რაც მას იტალიის 1998-99 წლების ჩემპიონატში გადახდა!

ახლა ყველაფერი თავიდან იწყება: ლიპიმ თავისი ბედი „ინტერს“ დაუკავშირა და მძიმე კრიზისიდან გამოსვლასაც პირდება. ერთი მოთხოვნა უკვე შეუსრულეს: მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კრისტიან ვიერი მის განკარგულებაშია. ახლა ვიერი — რონალდოს წყვილი მსოფლიოში პოტენციურად ყველაზე უფრო ძლიერად ითვლება. „დუეტს ყველაფერი აქვს: კლასი, სიმძლავრე, სათამაშო აზროვნება, სისწრაფე, მობილურობა, ტექნიკა, — ამბობს მარჩელო ლიპი, — ამავე დროს, თუკი რომელიმე მათგანმა რაიმე მიზეზით ვერ მოახერხა მინდორზე გამოსვლა, მათ ყოველთვის მოენახებათ საიმედო შეცვლა, ვთქვათ, სამორანოს სახით. სასიამოვნოა, რომ რონალდოს თანდათანობით უბრუნდება თამაშის წყურვილი“.

თვით რონალდო ასევე თვლის, რომ მის შეწყვეტებას ვიერისთან დიდი მომავალი აქვს: „ჩვენ ბევრს გავუმწარებთ ცხოვრებას. მე ვთვლი, რომ „ინტერმა“ ამ სეზონში მშვენივრად იმუშავა საფეხბურთო ბაზარზე, ბევრი საუკეთესო ფეხბურთელი შეიძინა. ვიერის ჩვენთან გადმოსვლით „ინტერის“ შემტევი ძალა მნიშვნელოვნად იზრდება. მე, მაგალითად, დიდი ინტერესით ველი „ინტერისა“ და „ფიორენტინას“ მომავალ შეხვედრებს — იქაც ხომ თავდასხმის უმძლავრესი ხაზი შეიქმნა. ხომ ბრწყინავდა ბატისტუტა. ახლა მას დაემატნენ ბალბო, კიუზა, მიატოვიჩი. ეს მატჩები ნამდვილ სპექტაკლებად, საგოლე ფეერიებად იქცევა. საერთოდ კი, ჩემი აზრით, ახალ სეზონში შედეგიანობა ძალიან გაიზრდება. მიაქციეთ თუ არა ყურადღება, რომ ყველა გუნდი ახლა უპირველეს ყოვლისა, თავდამსხმელებს ფიდულობს, თანაც ძალიან ცნობილებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველანი შემტევი ფეხბურთის თამაშს აპირებენ. — განაცხადა რონალდომ.

● *დიახ, მაგრამ აქამდე ხომ იტალიური ფეხბურთი ყოველთვის თავისი საიმედოდ დაცვით იყო ცნობილი?*

— გეთანხმებით. ახლაც აპენინის ნახევარკუნძულზე ბევრი მაღალი კლასის მცველია. სეზონის დაწყებამდე, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ამის მიუხედავად, თავდამსხმელები სულ უფრო ხშირად სჯობნიან მცველებს, მეტი გოლი გადის.

● *„ინტერმა“ ამას წინათ ხომ მსოფლიო დონის მცველი — ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი ლორან ბლანი შეიძინა. რას იტყვით ამის შესახებ?*

— იგი შესანიშნავი მცველია. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. ორწელიწადნახევრის წინ ხომ ერთად ვთამაშობდით „ბარსელონაში“. როცა „მილანში“ ჩამოვიდა, ესპანურ ენაზე ვილაპარაკეთ. იტალიურსაც საკმაოდ იოლად ისწავლის.

● *„კოპა ამერიკას“ დაწყებამდე თქვენ ამხანაგური მატჩში ლატვიის ნაკრებთან ლამაზი გოლი გაიტანეთ...*

— მშვენიერი გადაცემის შემდეგ, რომელიც „პალმეირასის“ მოთამაშე ალექსისაგან მივიღე. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ერთგვარი შესვენების შემდეგ ნაკრებში დავბრუნდი.

● *„კოპა ამერიკა“ თქვენს დაბრუნებას ნიშნავს საერთაშორისო ასპარეზზე.*

— ამ ტურნირს, უპირველეს ყოვლისა, ბრაზილიის ნაკრებისათვის აქვს მნიშვნელობა, რომელიც ყოველთვის შედიოდა მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებების რიცხვში. რაც შემეხება მე, მინდა გულშემატკივრებთანაც და საკუთარ თავთანაც რეაბილიტაცია მივიღო, მას შემდეგ, რაც ასე ჩამივარდა მთელი შარშანდელი სეზონი.

ჰირეოსი უსწრებს ათენის კლუბებს

საბერძნეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

კარგა ხანს ათენის „პანათინაიკოსი“ ბერძნული ფეხბურთის ჰეგემონი იყო. ნებისმიერი სხვა შედეგი, „პანათინაიკოსის“ ჩემპიონობის გარდა, საბერძნეთში ალოგიკურად ითვლებოდა. ეს ტრადიცია უკვე საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს — ბოლო სამი წელია, რაც პირველ ადგილს პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ ეუფლება და სრულიად დამსახურებულადაც.

საბერძნეთის ჩემპიონატის ერთი უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა უცხოელი ფეხბურთელების სიმრავლე. კლუბები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო: იწვევენ ლეგიონერებს ევროპული ქვეყნებიდან, სამხრეთ ამერიკიდან, აფრიკიდან. აქვეა ბევრი საზღვარგარეთელი მწვრთნელიც. ახალ ჩემპიონს სათავეში უდგას იუგოსლავიელი სპეციალისტი, თავის დროზე კარგად ცნობილი თავდამსხმელი დუშან ბაევიჩი. ბაევიჩი სწორედ მოწვეულ ფეხბურთელებს ეყრდნობა: ორ ძლიერ იუგოსლავ ნახევარმცველ ილია ივიჩს, პრედრაგ ჯორჯევიჩსა და თავდამსმელ სინიშა გოგიჩს. ამ უკანასკნელზე ღირს ორიოდე სიტყვით შეჩერება. გოგიჩი, წარმოშობით სერბი, რამდენიმე წლის განმავლობაში კვიპროსის ჩემპიონატში მონაწილეობდა, სადაც გოჩა გოგრიჭიანის მთავარ მეტოქედ ითვლებოდა №1 სნაიპერის წოდებისათვის ბრძოლაში. შემდეგ მან არჩია კვიპროსის მოქალაქეობის მიღება და ახლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ამ ქვეყნის ნაკრების ლიდერია. რა თქმა უნდა, კარგი მზადყოფნის შენარჩუნების თვალსაზრისით სინიშა გოგიჩს საბერძნეთის ჩემპიონატში მონაწილეობა ურჩევნია.

აი ზოგიერთი უცხოელიც პირველი ლიგის სხვა გუნდებიდან. უკვე მრავალი წელია საბერძნეთში იმყოფება ოლეგ ბლოხინი. მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, მან დაუყოვნებლივ დაიწყო მწვრთნელის კარიერა და ამ ასპარეზზე საბერძნეთში პოპულარობა მოიპოვა. როცა იგი ერთ რომელიმე კლუბში მუშაობას ამთავრებს (წვრთნიდა პირეოსის „ოლიმპიაკოსს“, სალონიკის პაოკ-ს, ათენის „იონიკოსს“), ბრუნდება ხოლმე კიევში, მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ ისევ იწვევს... ბერძნული გუნდი. 1998-99 წლების ჩემპიონატი ბლოხინმა პაოკში დაიწყო, აქ საქმე არ წაუვიდა, გადავიდა ათენის აეკ-ში, სადაც დიდ წარმატებას მიაღწია — აეკი მეორე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის საგზური ხვდა წილად.

აეკ-ი ძირითადად ბერძნებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ მასაც ჰყავს ლეგიონერი. ეს არის ლიბერიელი კრისტოფერ ვრე, რომელიც იჯარის პირობებით არის მიწვეული ლონდონის „არსენალიდან“.

რაც შეეხება საბერძნეთის ყველაზე პოპულარულ და უმდიდრეს კლუბ „პანათინაიკოსს“, მისი სიძლიერე ამჯერად მართლაც უცხოელებზეა დამყარებული. ესენი არიან პოლონეთის ნაკრების წამყვანი მოთამაშეები, მეკარე იოზეფ ვანზიკი და თავდამსხმელი კშიშტოფ ვარეჟინა, ნორვეგიელი ერიკ მიუკლანდი, რომელსაც თბილისელები კარგად იცნობენ, ხორვატი ალიოშა ასანოვიჩი. ახლა კლუბს მოლაპარაკება აქვს ორ კარგად ცნობილ თავდამსხმელთან: ქერათმიან მექსიკელ ლუის ერნანდესთან, რომელიც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში მონაწილეობდა და ახლაც შეინარჩუნა ადგილი თავისი ქვეყნის ნაკრებში, აგრეთვე ნორვეგიელ ულე-გუნარ სოლსკიაერთან. ამასთან, „პანათინაიკოსმა“ უკვე შეიძინა პაოკ-ისაგან პერუს ნაკრების მცველი პერსი ოლივარესი.

ქვეყნის ჩემპიონატის ამ სამ გამოკვეთილ ლიდერს: „ოლიმპიაკოსს“ აეკსა და „პანათინაიკოსს“ არც სხვა კლუბები ჩამორჩნენ. ცნობილი უკრაინელი თავდამსხმელი ოლეგ პროტასოვი დიდხანს თამაშობდა საბერძნეთში, შემდეგ იაპონიაში გაემგზავრა, მაგრამ ვერ გაუძლო, უკან დაბრუნდა და ახლა პირეოსის მეორე კლუბ „პროოდეფტიკიში“ თამაშობს. აქვეა ჭალედ ალ-ჯაჯარი საუდის არაბეთიდან. სალონიკის „არისში“ თამაშობენ პერუელი ნახევარმცველები. დავიდ ჩავესი და კარლოს ფლორესი, აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ყიფიანი. ათენის „იონიკოსში“ გამოდიან კიდევ ერთი პერუელი, თავდამსხმელი დარიან მუჩოდრიგო და 34 წლის შოტლანდიელი, ასევე თავდამსხმელი გრეგ ბრიუსტერი, ათენის „პანიონიოსში“ — ირლანდიელი გარი ჰეილოკი და ალბანეთის ნაკრების ცნობილი მეკარე ფატიხ სტრეკოშა. პოლონელი ლეშეკ პიში „კავალაში“ გამოდის.

საბერძნეთის ნაკრებში ტრადიციულად 18 კლუბია 1998-89 წლების ჩემპიონატში, როგორც უკვე ითქვა, „ოლიმპიაკოსმა“ გაიმარჯვა. მან 34 თამაშიდან 27 მოიგო, 4 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 3 წააგო ბურთების ბრწყინვალე სხვაობით 82-22, 85 ქულით.

თუ პირველ ადგილზე მაინცდამაინც დიდი ბრძოლა არა ყოფილა, მეტად მძაფრი იყო მეტოქეობა მეორე ადგილისათვის ათენის კლუბებს შორის. საბოლოოდ აეკ-მა სულ მცირე უპირატესობით გაასწრო „პანათინაიკოსს“ და დაუთმო მას... უეფას თასზე მონაწილეობა. აეკმა 75 ქულა მოაგროვა (23 მოგება, 6 ფრე, 5 წაგება, ბურთები 71-27), კონკურენტს სულ ერთი ქულით გაუსწრო. „პანათინაიკოსმა“ მოიგო 23 მატჩი, 5 ფრედ დასრულა და 6 წააგო, ბურთების სხვაობაა 66-36. დანარჩენი კლუბები საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი 22 გოლით გახდა ნაკრების თავდამსხმელი დემის ნიკოლაიდისი. 18 გოლი გაიტანა ნიკოს ფრუსოსმა („იონიკოსი“) 14-14 — ისმაილ ბამ („ჯოდა ქსანტი“) და ლეშეკ პიშმა („კავალა“).

ბივი თორელი

ეროვნული ნიგერიელი ლეგენდა

სანდი ოლისე 25 წლისაა, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე ნიგერიის ნაკრებში თამაშობდა. ორი წლის წინათ იგი ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა, სადაც დაცვაში და შუა ხაზზე 76 მატჩი ჩაატარა. ადრე გამოდიოდა „კიოლნში“, ბელგიის „ლიეჟსა“ და იტალიურ „რეჯანაში“. ახლა ოლისემ ყველაზე წარმატებული ტრანსფერი გააფორმა — 5 წლის ვადით ტურინის „იუვენტუსთან“ (ფინანსური დეტალები ცნობილი არ არის).

„იუვენტუსში“ სანდი ოლისე კიდევ ერთ ყოფილ „აიაქსელ“, ცნობილ მეკარე ედვინ ვან დერ საართან ერთად ითამაშებს.

ევროპის ყველა ჩემპიონატი

გფრ 1988

ნახევარფინალურ მატჩში – დამარცხება ჰოლანდიასთან...

VIII ჩემპიონატი ჩატარდა ისეთივე სისტემით, როგორითაც წინა ჩემპიონატი, კერძოდ, 7 ჯგუფში გამარჯვებულთ დაემატა გფრ-ს ნაკრები, როგორც მასპინძელი ქვეყანა და შეიქმნა ორი ფინალური ჯგუფი. იქიდან პირველ-მეორე ადგილზე გასულმა ნაკრებებმა გაითამაშეს ნახევარფინალი და შემდეგ ფინალი.

ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 33 ქვეყანამ. შესარჩევი ეტაპის შემდეგ გამოვლინდა ის 7 ნაკრები, რომელიც განაგრძობდა მედლებისათვის ბრძოლას. უნდა აღინიშნოს, რომ შესარჩევი ეტაპიდან ვერ გავიდა წინა ჩემპიონატის გამარჯვებული საფრანგეთის ნაკრები. ჯგუფებში გაიმარჯვეს: I ჯგუფში – ესპანეთმა, II-ში – იტალიამ, III-ში – სსრკ-მ (საფრანგეთი ვერ მოხვდა); IV-ში – ინგლისმა, V-ში ჰოლანდიამ; VI-ში – დანიამ; VII-ში – ირლანდიამ.

ამის შემდეგ ნაკრებებმა კენჭისყრით შექმნეს ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში მოხვდნენ: გფრ-ის, იტალიის, ესპანეთისა და დანის ნაკრებები. მეორეში – სსრკ-ის, ჰოლანდიის, ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებები.

პირველი შეხვედრა ჩატარდა დიუსელდორფში – გფრ-იტალია. *გფრ:* იმელი, ბუსვალდი, ბრემე (ბოროვკა), კოლერი, ჰერგეტი, ტონი, ლიტბარსკი, ბერთოლდი, მათეუსი, ფიოლერი (ექშტაინი), კლინსმანი.

იტალია: ძენგა, ბარეზი, ბერგომი, ფერი, მალდინი, ანჩელოტი, დი ნაპოლი (დი აგოსტინი), ჯანინი, დონადონი, მანჩინი, ვიალი (ალტობელი).

მატჩი მიმდინარეობდა უინტერესოდ. – ეს იყო ტიპიური ჩემპიონატის გახსნა, – აღნიშნა შეხვედრის შემდეგ ბეკენბაუერმა. ამ მინდორზე უფრო მეტი ბრძოლა იყო, ვიდრე თამაში. ლოგიკური იყო ის, რომ ანგარიში იტალიელებმა გახსნეს, დონადონის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ მანჩინმა გაიტანა გოლი, რომელიც გერმანელებმა მალე გაათანაბრეს. ინგლისელმა მსაჯმა ჰეკეტმა მიიჩნია, რომ იტალიელთა მეკარემ ბურთით ხელში გადათვალა ოთხ ნაბიჯზე მეტი და დანიშნა ჯარიმა, რომელიც ბრემემ გამოიყენა. ამრიგად ფრე – 1-1.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრა დანიისა და ესპანეთის ნაკრებებს შორის, პირველი მატჩისაგან განსხვავებით მიმდინარეობდა მძაფრ ბრძოლაში. პირველ ნახევარში ანგარიში გახსნეს ესპანელებმა, ეს იყო მიჩელის მიღწევა, მაგრამ სულ მალე ლაუდრუპმა გაათანაბრა ანგარიში. პირველი ნახევრის ბოლოს ესპანელებს შეეძლოთ წინ გასვლა, მაგრამ მიჩელის დარტყმული 11-მეტრიანი მოიგერია მეკარემ რასმუსენმა. შეხვედრის მეორე ნახევარში იგრძნობოდა ესპანელთა უპირატესობა და ჯერ ბუტრაგენიმ, ხოლო შემდეგ გორდილიომ ანგარიში გახადეს 3-1. ის, რაც შეძლეს დანიელებმა, ეს იყო პოულსენის ერთი საპასუხო ბურთი და შეხვედრა დამთავრდა 3-2 ესპანელთა სასარგებლოდ.



ვან ბასტენი

მეორე ჯგუფის *პირველ ტურში* ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: სსრკ – ჰოლანდია და ინგლისი – ირლანდია.

მთელი პირველი ნახევარი მიმდინარეობდა ჰოლანდიელთა აშკარა უპირატესობით. მათ დასაევის კართან შექმნეს უამრავი სახიფათო მომენტი, მაგრამ როგორც ტერიტორიული, ისე სათამაშო უპირატესობის გამოყენება ჰოლანდიელებმა ვერ შეძლეს. ხოლო შეხვედრის 53-ე წუთზე ერთ-ერთი კონტრშეტევისას რაცმა გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ჰოლანდიელები გადავიდნენ შტურმზე, მაგრამ, უშედეგოდ და ჩემპიონატის პირველი მოულოდნელობა – 1-0 სსრკ-ს სასარგებლოდ. მეორე მოულოდნელობა იყო ინგლისელთა მარცხი ირლანდიელებთან. ამ შეხვედრაში გადამწყვეტი ბურთი მე-6 წუთზე გაიტანა ჰოუგტონმა.

მეორე ტური. გფრ – დანია, ამ შეხვედრაში გამოიკვეთა გერმანელთა უპირატესობა – შეხვედრის მე-10 წუთზე კლინსმანმა დააწინაურა გერმანელები. მეორე ნახევარში თამაში გამოცოცხლდა. დანიელებმა, რომლებსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, დაიწყეს აქტიური მოქმედება, მაგრამ რაიმე ხიფათი მეტოქის კართან ვერ შექმნეს, ხოლო შეხვედრის ბოლოს გერმანელებმა შეძლეს მეორე გოლის გატანა. კერძოდ, ეს შეძლო ტონიმ. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში იტალიელებმა სძლიეს ესპანელებს – 1-0. გოლი გაიტანა ვიალიმ 73-ე წუთზე. ამ მატჩში გამოირჩეოდნენ „სამპდორიას“ ფეხბურთელები – ვიალი და მანჩინი, რომელთა კარგმა თამაშმა განაპირობა იტალიელთა გამარჯვება.

მეორე ჯგუფის მეორე ტური დაიწყო ჰოლანდიის და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრით. ამ მატჩის შემდეგ ჰოდლმა ორჯერ კარის ძელს მოახვედრა ბურთი, ხოლო პირველი ნახევრის დამთავრებისას ვან ბასტენმა დააწინაურა ჰოლანდიელები. შეხვედრის 54-ე წუთზე რობსონმა გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ ჰოლანდიელთა უპირატესობა აშკარა იყო და ვან ბასტენმა შეძლო „ჰეთ-თრიკის“ შესრულება. 3-1 გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა. ჯგუფის მეორე ტური დაიწყო ჰოლანდიის და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრით. ამ მატჩის შემდეგ ჰოდლმა ორჯერ კარის ძელს მოახვედრა ბურთი, ხოლო პირველი ნახევრის დამთავრებისას ვან ბასტენმა დააწინაურა ჰოლანდიელები. შეხვედრის 54-ე წუთზე რობსონმა გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ ჰოლანდიელთა უპირატესობა აშკარა იყო და ვან ბასტენმა შეძლო „ჰეთ-თრიკის“ შესრულება. 3-1 გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა. ჯგუფის მეორე შეხვედრაში ჰოლანდიის ნაკრებმა დაამარცხა ირლანდიის ნაკრები – 1-0. შეხვედრა მიმდინარეობდა დაძაბულ ორთაბრძოლაში. გადამწყვეტი ბურთი 82-ე წუთზე გაიტანა შეცვლაზე შემოსულმა კიფტომ.

ნახევარფინალი. ჰოლანდია – გფრ. 2-1. მთავარი მოვლენები განვითარდა მეორე ნახევარში. შეხვედრის 54-ე წუთზე კლინსმანი, რომელიც გერმანელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მას უხეშად ეთამაშა რაიკაარდი, და გერმანელთა ფორვარდი აღმოჩნდა მიწაზე. რუმინელმა მსაჯმა იგნამ დანიშნა 11-მეტრიანი, რასაც მოჰყვა ჰოლანდიელთა პროტესტი, მაგრამ მსაჯმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და მათეუსმა გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ჰოლანდიელთა შეტევები უფრო აზარტული, მძაფრი გახდა და ერთ-ერთი შეტევისას ვან ბასტენისა და კოლერის ორთაბრძოლაში გერმანელთა საჯარიმოში მოჰყვა 11-მეტრიანი. ამ-ჯერად უკვე გერმანელებმა გამოთქვეს პროტესტი, მაგრამ, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ახლაც უშედეგოდ და რ. კუმანმა ანგარიში გაათანაბრა – 1-1. 89-ე წუთზე ვოუტერსის მცველი, შეიჭრა ესპანელთა საჯარიმოში და ქუსლით დაუბრუნა ბურთი უკან მდგომ ფიოლერს, რომლის დარტყმაც, როგორც აღვნიშნეთ, იყო იდეალური. 2-0 – ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს გერმანელებმა და გავიდნენ ნახევარფინალში. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში იტალიელებმა გაიმარჯვეს 2-0 დანიელებთან. მიუხედავად იმისა, რომ დანიის ნაკრებმა აჩვენა თავისი საუკეთესო თამაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს იტალიელებმაც, – ისევე როგორც წინა მატჩებში, კარგად თამაშობდა ვიალი-მანჩინის დუეტი, მწვრთნელი ვიჩინის შეცვლებმა გაამართლა – ჯერ მინდორზე ერთი წუთის წინ შესულმა ალტობელიმ გახსნა ანგარიში, ხოლო შემდეგ, დი აგოსტინიმ, ასევე შემოსვლიდან ერთ წუთში გაიტანა მეორე ბურთი.

ფინალური მატჩის 33-ე წუთი. გულიტის გოლი დასაევის კარში

მეორე ჯგუფის დასკვნით შეხვედრებში ერთმანეთს შეხვდნენ: სსრკ-ინგლისი და ჰოლანდია-ირლანდია. სსრკ – ინგლისი. მე-3 წუთზე ალეინიკოვმა გახსნა ანგარიში, ხოლო სულ მალე ადამსმა გაათანაბრა იგი. 26-ე წუთზე მიხაილიჩენკომ წინ გაიყვანა სსრკ-ს ნაკრები, ხოლო 73-ე წუთზე პასულკომ დააფიქსირა ამ მატჩის საბოლოო შედეგი – 3-1. გაიმარჯვეს სსრკ-ს ფეხბურთელებმა. ჯგუფის მეორე შეხვედრაში ჰოლანდიის ნაკრებმა დაამარცხა ირლანდიის ნაკრები – 1-0. შეხვედრა მიმდინარეობდა დაძაბულ ორთაბრძოლაში. გადამწყვეტი ბურთი 82-ე წუთზე გაიტანა შეცვლაზე შემოსულმა კიფტომ.

ნახევარფინალი. ჰოლანდია – გფრ. 2-1. მთავარი მოვლენები განვითარდა მეორე ნახევარში. შეხვედრის 54-ე წუთზე კლინსმანი, რომელიც გერმანელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მას უხეშად ეთამაშა რაიკაარდი, და გერმანელთა ფორვარდი აღმოჩნდა მიწაზე. რუმინელმა მსაჯმა იგნამ დანიშნა 11-მეტრიანი, რასაც მოჰყვა ჰოლანდიელთა პროტესტი, მაგრამ მსაჯმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და მათეუსმა გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ჰოლანდიელთა შეტევები უფრო აზარტული, მძაფრი გახდა და ერთ-ერთი შეტევისას ვან ბასტენისა და კოლერის ორთაბრძოლაში გერმანელთა საჯარიმოში მოჰყვა 11-მეტრიანი. ამ-ჯერად უკვე გერმანელებმა გამოთქვეს პროტესტი, მაგრამ, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ახლაც უშედეგოდ და რ. კუმანმა ანგარიში გაათანაბრა – 1-1. 89-ე წუთზე ვოუტერსის გადაცემის შემდეგ ვან ბასტენმა გაიტანა გამარჯვების ბურთი. ამრიგად, 2-1. ჰოლანდიის ნაკრები გავიდა ფინალში.

1988 წ. მიუნხენი. ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი

მეორე ნახევარფინალში სსრკ-იტალიის შეხვედრაში აშკარა იყო სსრკ-ს ნაკრების უპირატესობა. პირველ ნახევარში მან შექმნა უამრავი სახიფათო მომენტი მეტოქის კართან, გოლის გატანის შესაძლებლობები ჰქონდათ ალეინიკოვს, გოცმანოვს, პროტასოვს, მაგრამ ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ. მატჩის ბედი გადაწყდა ორ წუთში. შეხვედრის 61-ე წუთზე ლიტოვჩენკომ გახსნა ანგარიში, ხოლო ორი წუთის შემდეგ ზავაროვის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ პროტასოვმა გაიტნა მეორე ბურთი. მატჩის შემდეგ გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ ასეთი სათაური გაუკეთა ამ მატჩს: „იკრაპიცას წინააღმდეგ – 2-0“.

ფინალი. ჰოლანდია – სსრკ 2-0

ჰოლანდია: ვან ბროკელენი, ვან ტიგელენი, რ. კუმანი, ვან არლე, ვოუტერსი, ვანენბერგი, მიურენი, გულიტი, რაიკაარდი, ვან ბასტენი, ე. კუმანი.

სსრკ: დასაევი, ხიდიატულინი, ალეინიკოვი, დემიანენკო, რაცი, გოცმანოვი (ბალტაჩა, 68), ლიტოვჩენკო, მიხაილიჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი (პასულკო, 71), ბელანოვი.

ამ ნაკრებებმა დაიწყეს ფინალური ეტაპი და მათივე შეხვედრით დამთავრდა VIII ჩემპიონატი. დასკვნითი შეხვედრა გამოდგა დრამატული. იგრძნობოდა ჰოლანდიელთა მცირე უპირატესობა. დასაწყისში ზავაროვს, პროტასოვს მიეცათ ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ კარგად თამაშობდა ჰოლანდიელთა დაცვა და მეკარე. შეხვედრის 33-ე წუთზე ვან ბასტენის გადაცემით გულიტმა გახსნა ანგარიში. პირველი ნახევრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ბელანოვის დარტყმა დაახლოებით 8 მეტრიდან უზუსტო გამოდგა. შეხვედრის 55-ე წუთზე ვან ბასტენმა გაიტანა ბრწყინვალე ბურთი. ამის შემდეგ ბელანოვის დარტყმა მოხვდა კარის ძელს. ხოლო მატჩის ბოლოს ვან ბროკელენი თავის საჯარიმოში უხეშად ეთამაშა გოცმანოვს, მაგრამ ბელანოვის 11-მეტრიანი მოიგერია ვან ბროკელენიმ, საბოლოოდ, 2-0 და ჰოლანდიის ნაკრები პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი.

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ვან ბასტენი. გაზეთ „ბილდის“ მიერ შედგენილი ევროპის სიმბოლური ნაკრები: დასაევი (სსრკ), რ. კუმანი (ჰოლანდია), კუზნეცოვი (სსრკ), რაიკაარდი (ჰოლანდია), მიხაილიჩენკო (სსრკ), გულიტი (ჰოლანდია), ჰოუგტონი (ირლანდია), მათეუსი (გფრ), პროტასოვი (სსრკ), ვან ბასტენი (ჰოლანდია), ვიალი (იტალია).

ამ ჩემპიონატში სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა ორი ქართველი ფეხბურთელი: ა. ჩივაძე (ჩაატარა 1 თამაში) და თ. სულაქველიძე (4 შეხვედრა , გაიტანა ერთი ბურთი).

ტექნიკური შედეგები

შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. ესპანეთი	6	5	0	1	14-6	10
2. რუმინეთი	6	4	1	1	13-3	9
3. ავსტრია	6	2	1	3	6-9	5
4. ალბანეთი	6	0	0	6	2-17	0

II ჯგუფი

1. იტალია	8	6	1	1	16-4	13
2. შვედეთი	8	4	2	2	12-5	10
3. პორტუგალ.	8	2	4	2	6-8	8
4. შვეიცარია	8	1	5	2	9-9	7
5. მალტა	8	0	2	6	4-21	2

III ჯგუფი

1, სსრკ	8	5	3	0	14-3	13
2. გდრ	8	4	3	1	13-4	11
3. საფრანგ.	8	1	4	3	4-7	6
4. ისლანდია	8	2	2	4	4-14	6
5. ნორვეგია	8	1	2	5	5-12	4

IV ჯგუფი

1. ინგლისი	6	5	1	0	19-1	11
2. იუგოსლ.	6	4	0	2	13-9	8
3. ჩრ.ირლანდ.	6	1	1	4	2-10	3
4. თურქეთი	6	0	2	4	2-16	2

V ჯგუფი

1. ჰოლანდია	8	6	2	0	15-1	14
2. საბერძნ.	8	4	1	3	12-13	9
3. უნგრეთი	8	4	0	4	13-11	8
4. ჰოლონეთი	8	3	2	3	9-11	8
5 კვიპროსი	8	0	1	7	3-16	1

VI ჯგუფი

1. დანია	6	3	2	1	4-2	8
2. ჩეხოსლოვ.	6	2	3	1	7 -5	7
3. უელსი	6	2	2	2	7-5	6
4. ფინეთი	6	1	1	4	4-10	3

VII ჯგუფი

1. ირლანდია	8	4	3	1	10-5	11
2. ბულგარ.	8	4	2	2	12 6	10
3. ბელგია	8	3	3	2	16-8	9
4. შოტლანდ.	8	3	3	2	7-5	9
5. ლუქსემბ.	8	0	1	7	2-23	1

ფინალური ტურნირი

I ჯგუფი

1. გფრ	3	2	1	0	5-1	5
2. იტალია	3	2	1	0	4-1	5
3. ესპანეთი	3	1	0	2	3-5	2
4. დანია	3	0	0	3	2-7	0

II ჯგუფი

1. სსრკ	3	2	1	0	5-2	5
2. ჰოლანდია	3	2	0	1	4-2	4
3. ირლანდია	3	I	1	1	2-2	3
4. ინგლისი	3	0	0	3	2-7	0

ნახევარფინალი

ჰოლანდია – გფრ 2-1

სსრკ – იტალია 2-0

ფინალი

ჰოლანდია – სსრკ 2 – 0

ჰოლანდია: ვან ბროკელენი, ვან არლე, ვან ტიგელენი, რ. კუმანი, ვოუტერსი, რაიკაარდი, ვანენბურგი, გულიტი, მიურენი, ვან ბასტენი, ე. კუმანი.

სსრკ: დასაევი, ხიდიატულინი, ალეინიკოვი, დემიანენკო, მიხაილიჩენკო, გოცმანოვი (ბალტაჩა, 69), ლიტოვჩენკო, რაცი, ზავაროვი, პროტასოვი (პასულკო, 72), ბელანოვი.

გოლები: გულიტი 33 (1-0), ვან ბასტენი 54 (2-0).

მსაჯი: მ. ვოტრო (საფრანგეთი).

პომპარდირება: ვან ბასტენი (ჰოლანდია), ალტობელი (იტალია), კლასენი (ბელგია) – 7-7 გოლი.

ვეფხვია ჯალადონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი.

სხვადასხვა

მოკლედ...

● კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) 2000-2001 წლების ევროთასების გათამაშების ახალი სისტემა დაამტკიცა. ევროლიგის ახალ გათამაშებაში ჩაებმება 24 გუნდი, ამდენივე იასპარეზებს საპორტს თასზე, ხოლო კორაჩის თასზე ნებისმიერ ეროვნულ ფედერაციას შეუძლია მიავლინოს არა უმეტეს 4 გუნდისა, მაგრამ ამ ფედერაციას შვიდზე მეტი გუნდი არ უნდა ჰყავდეს სამივე ევროპულ თასზე.

● როგორც იცით, ბრიტანეთის დიდ პრიზზე რბოლაში „ფორმულა-1"-ის ცნობილმა პილოტმა, მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა ავარია განიცადა. „ფერარი", რომელსაც შუმახერი წარმოადგენდა, სასწრაფოდ შეუდგა ავარიის მიზეზების გამოძიებას. ვიდრე შუმახერი მკურნალობს, „ფერარმა" მის შემცვლელად გუნდში მიიწვია 32 წლის ფინელი მიკა სალო. იგი 71 რბოლის მონაწილეა.

● **როგორც ვიუწყებოდით ლეგენდარული ჩოგბურთელი ჯონ მაკინროი ჩოგბურთის დიდების დარბაზის**

წევრი გახდა. „პირველულ ჯონის" შესაბამისი საბუთიც გადასცეს.

● სლოვენიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების (ჩვენი მეტოქე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში) ლიდერი ზლატო ზაპოვიჩი პორტუგალიის „პორტუდან" საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში" გადავიდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით ახალმა მეპატრონემ საპოვიჩის გადმობირებაში 10 მილიონი დოლარი გადაიხადა.

● **მსხარაულაშვილი ალი ალიევის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ფილას ეგიდით ტარდება იუნიორთა შორის თავისუფალ ჰიდაობაში, საქართველოს გუნდი არ გაუგზავნია. ტურნირის 30-წლიან ისტორიაში ყველაზე მეტი მედალი უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა მოიპოვეს. აქედან ყველაზე ძვირფასი ჯილდო — ოქროს მედალი ირანელებზე მოდის — 5, რუსეთელებს 4 გამარჯვებული ჰყავთ.**

დაისვენეთ ბაკურიანში!

თქვენს განკარგულებაში, სურვილისამებრ, იქნება კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლები, ქერქო სასტუმროები, კოტეჯები. ფასები ხელმისაწვდომია.

მაინც მსოფლიოს №1 ჩოგბურთელია

ამას, შეიძლება ითქვას, არავინ მოელოდა: არც ასეთ დაბლა დაცემას და არც რამდენიმე წლის წინათ დაკარგული ლიდერობის დაბრუნებას.

მაშ ასე, ანდრე აგასი ახლა კვლავ „რეიტინგ-ლისტში" პირველ ადგილზეა.

● ***თქვენს კარიერაში მეორე დიდი დაბრუნების მოწმენი ვართ.***

— ჩემი პირველი დაბრუნება მას შემდეგ მოხდა, რაც რთულმა ოპერაციამ მაიძულა თამაში შემწყვიტა. როცა მძიმედ დავშავდი, ჩემში დაიბუდა დიდმა შიშმა, რომ კარიერას ვეღარ გავაგრძელებდი. მეშინოდა ვეღარასოდეს დავამტკიცებდი, თუ როგორი დიდი იყო ჩემი შესაძლებლობები ჩოგბურთში. ამიტომაც, როცა თამაში განვაახლე, მას მთელ ჩემს ენერგიას ვანდომებდი, თუმცა მაინც პანიკა დამეუფლა. ამჯერად კი საქმე უკვე შიშში აღარ იყო. ჩემი ერთადერთი სერიოზული მოტივი ჩემს ცხოვრებაში ჩოგბურთის დაბრუნებაა. ადრე ასეთი განცდები არასოდეს მქონია. თითქმის ჩემში ყველაფერი გადატრიალდა. პირველად შევაფასე, რასაც ვაკეთებდი. მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანი და ძვირფასია ჩემთვის ჩოგბურთი. ერთ-ერთი უძლიერესი გრძნობა 1995 წელს პიტ სამპრასთან წაგებული მატჩის შემდეგ დამეუფლა. არასოდეს არ მიგრძვნია თავი ასე ეულად და იმედგაცრუებულად. იმის შემდეგ დავვაუკაცდი. ახლა ჩოგბურთი ჩემი ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარეა.

● ***სხვა მხარეები?***

— ეს არის ჩემი როლი, როგორც მეუღლისა, მეგობრისა. მუშაობა ფონდში (აგასის ფონდი დახმარებას უწევს ბავშვებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან), საქმიანი ურთიერთობანი. ჩემი პიროვნება ყოველივე ამისაგან იქმნება.

● ***ჩოგბურთისადმი თქვენი ერთგვარი გული აყრის მიზეზი თქვენი ბავშვობის წლებში უნდა ვეძებოთ? მამამ ადრე დაგაკავშირათ ჩოგბურთს, მას ამ მხრივ დიდი ამბიციები ჰქონდა. ხომ არ გართმევდათ ეს თამაშისაგან მიღებულ სიამოვნებას?***



პიტ სამპრასი და ანდრე აგასი უიმბლდონის ტურნირის დამთავრებისას

— არა. მამაჩემი ყველაფერს აკეთებდა, რათა ინტერესი ჩოგბურთისადმი გამზრდოდა. იმ დროისათვის, 7 წელი რომ შემისრულდა, უზარმაზარი გაჭირვებით შეაგროვა ფული ისეთი სახლის საყიდლად, რომელსაც უკანა ეზოში კორტი ჰქონდა. უფრო ზუსტად, კორტი თვითონ მოაწყო. ერთი სიტყვით, თუ აქამდე კორტი საოცნებო იყო, ახლა რეალობად იქცა და სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, მთელი დღე ვთამაშობდი.

● ***როდისდა გაგინელდათ ჩოგბურთის სიყვარული?***

— მაშინ, როცა ნიკ ბოლეტიერის ჩოგბურთის აკადემიაში მოვხვდი. ის, რაც აკადემიაში ხდებოდა, ჩემს ბუნებას ეწინააღმდეგებოდა, ყველაფერი მხოლოდ ჩოგბურთის გარშემო ტრიალებდა, ლაპარაკი მხოლოდ წარმატებებზე იყო. პირადად თქვენთან, ადამიანთან არავის ჰქონდა რაიმე საქმე. ვიცნობ ბევრ ნამდვილად ნიჭიერ ახალგაზრდას, რომლებმაც ვერ გაუძლეს ასეთ ატმოსფეროს და ჩოგბურთი მიატოვეს. ისინი რომ არ აეძულებინათ ერთმანეთი „შეეჭამათ", ჩოგბურთში დიდ წარმატებებს მიაღწევდნენ. იმან, ვინც საქმის ვითარება არ იცის, დაიმახსოვრა, რომ აკადემიამ რამდენიმე დიდი ჩოგბურთელი აღზარდა. სინამდვილეში კი მისი შემქმნელები მცდარი გზით წავიდნენ.

● ***თუკი თქვენი კარიერის დასაწყისს გავიხსენებთ, თვლით თუ არა, რომ მომზადებული იყავით ასეთი ფანტასტიკური ნახტომისათვის?***

— გულახდილი რომ ვიყოთ, არავინ არის საამისოდ მომზადებული. ხშირად მამტყუნებდნენ საკუთარი იმიჯის მანიპულირებაში და მიზნების ეგოისტურობაში. ცხადია, არაერთი შეცდომა მომივიდა. მაგრამ ჩემი კარიერის დასაწყისიდანვე ვცდილობდი პატიოსანი ვყოფილიყავი. როცა 17 წლის ყმაწვილი წარმატებას მიაღწევს, ეს მისთვის იოლი გამოცდა არ გახლავთ. მაგრამ თუ იგივე 50 წლის ასაკში ხდება, სახელის მოპოვება მაინც გამოცდად რჩება.

ასეთი განწყობილება აქვს ანდრე აგასის, რომელმაც წლეულს ჯერ „როლან გაროსზე" მიაღწია ტრიუმფს, შემდეგ კი, თუმცა უიმბლდონის ფინალი წააგო, მაინც მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი გახდა.

იუმორი

უსიტყვოდ...



— ვალუტა, ოქრო, ფული!..
— ძმურად, ტაიმის ბოლომდე მაცალე, რა!

ვ. კუციას ნახატი

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



16 ივლისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. „ვარსკვლავები" (21.00), საქართველოს ხმა. სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***HTB პლუს ფუთბალ.*** ჩემპიონთა ლიგა. I საკლასიფიკაციო რაუნდი (15.05, 17.20), ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98-99 წ.წ. „ინტერი" — „რეალი" (19.15), „ყველა დროის მატჩები": 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (22.10), „მსოფლიო ფეხბურთი" (23.50), ***HTB პლუს სპორტ.*** ჩოგბურთი. დევისის თასი. მეოთხედფინალი: აშშ — ავსტრალია (20.30). ***ESPN.*** ველოსრბოლა. „ტურ დე ფრანსი" (22.00), ფეხბურთი. ევროპის ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა (22.30). ***EUROSPORT.*** ველოსრბოლა. „ტურ დე ფრანსი" (12.30, 18.00, 20.30, 0.00), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (15.30, 16.00, 17.00, 21.30, 2.15, 3.15).

17 ივლისის, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (20.35). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***HTB პლუს ფუთბალ.*** ჩემპიონთა ლიგა. I საკლასიფიკაციო რაუნდი (14.00), „ამერიკის თასის" ნახევარფინალური შედეგები (16.15), „ყველა დროის მატჩები" 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (17.20), ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98-99 წ.წ.: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „შტურმი" (ავსტრია) (22.00). ***HTB პლუსსპორტ.*** ჩოგბურთი. „დევისის თასი". (12.00, 21.30), ***ESPN.*** ფეხბურთი. ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (5.00). კალათბურთი. ნბა-ს სპეციალური. გადაცემა (7.30), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (16.00). უმაღლესი ლიგის ფეხბურთი — ყველა დროის ვარსკვლავები (23.00). ***EUROSPORT.*** ველოსრბოლა. „ტურ დე ფრანსი" (14.30, 0.00), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (17.00, 23.45), რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი (2.00).

18 ივლისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (20.30), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00). ***HTB პლუს ფუთბალ.*** „ამერიკის თასი" (13.15), „ამერიკის თასის" ფინალის წინ (22.05). „ჩემპიონთა ლიგის არქივი": „ბარსელონა" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (22.45). ***HTB პლუს სპორტ.*** ჩოგბურთი. „დევისის თასი" (21.30). ***ESPN.*** ველოსრბოლა. „ტურ დე ფრანსი" (9.30,18.00, 20.30, 1.00). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.30, 14.30, 2.30).

საქართველოს კუმანიბარულ-სახელოვნებო აკადემია

ვისაც სურს ისწავლოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში და მიიღოს ელიტარული განათლება, იწვევს დაუსწრებელი და დასწრებული სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე

ჟურნალისტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი: 1. ჟურნალისტიკა; 2. სახვითი ხელოვნებათმცოდნეობა; 3. მუსიკათმცოდნეობა; 4. კინომცოდნეობა; 5. თეატრმცოდნეობა, 6. მუზეუმმცოდნეობა.

ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი: 1. საქართველოს ისტორია; 2. მსოფლიო ისტორია; 3. ქართული ენა და ლიტერატურა.

უცხო ენების ფაკულტეტი: 1. ინგლისური ენა, 2. გერმანული ენა, 3. ფრანგული ენა, 4. რუსული ენა.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 29-35-25; 29-35-36 (11-დან 15-სთ-მდე).

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის, 55, მე-3 სართული.

ქროსვორდი



ჰორიზონტალურად: 5. მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდესი ფორუმი. 8. სამხრეთ ამერიკის 1983 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. 10. ჯ. ვაისმიულერის მიერ განსახიერებული როლი კინოში. 11. შეჯიბრების დროს ნაჩვენები უმაღლესი შედეგი. 13. ცნობილი ინგლისელი სპრინტერი, ოლიმპიური ჩემპიონი. 14. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 15. ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე. 19. სამხრეთ ამერიკის 1979-80 წლების საუკეთესო ფეხბურთელი. 21. ქართველი მოჭადრაკე ქალი. 23. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი. 24. ფეხბურთელის ამპლუა. 25. ბრაზილიელი მცველი, მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონი. 26. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი. 27. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის 1962-78 წლებში. 28 იტალიის საფეხბურთო კლუბი. 31. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი 1954-67 წლებში. 34. 60-70-იანი წლების ცნობილი არგენტინელი ფორვარდი. 36. იტალიის საკალათბურთო კლუბი. 39. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი ქალი 1973 და 1975 წლებში. 43. „იუვენტუსის" თავდამსხმელი. 44. ქართველი მოჭადრაკე. 45. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი. 46. თანაშემწე, დამხმარე რაიმე საქმეში.

ვერტიკალურად: 1. ფეხბურთის ამერიკული სახელწოდება. 2. წარსულში ცნობილი სპორტული კომენტატორი, სსრკ-ის რვაგზის ჩემპიონი ძალოსნობაში. 3. სპორტული ინვენტარი. 4. ფინელი სტაიერი, ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი. 6. ესპანელი თავდამსხმელი, ევროპის 1964 წლის ჩემპიონი. 7. წარსულში გამოჩენილი მარაოელი სტაიერი. 8. „ბარსელონას" მცველი. 9. წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი. 10. ჩეხური საავტომობილო ფირმა. 12. სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა. 13. ბულგარელი მძლეოსანი ქალი, მსოფლიოს რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში. 16. ხორვატი ჩოგბურთელი. 17. „ციურიხის" ქართველი ლეგიონერი. 18. ზაფხულის XXV ოლიმპიური თამაშების მასპინძელი. 19. ბულგარელი ჩოგბურთელი ქალი. 20. პერუს საფეხბურთო კლუბი. 21. სომხეთის საფეხბურთო კლუბი. 22. ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი. 29. გამოჩენილი იტალიელი სამთომოთხილამურე. 30. გრძნობის დაკარგვა ძლიერი დარტყმის შედეგად კრივში. 32. „ლაციოს" თავდამსხმელი. 33. მსოფლიოს საუკეთესო მეკარე 1989-91 წლებში. 35. ბრაზილიელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი. 37. პოლონელი მძლეოსანი, მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში. 38. „ფორმულა-1"-ის გამოჩენილი ავსტრიელი პილოტი. 40. „დერბი ქაუნთის" იტალიელი ფეხბურთელი. 41. სპორტის სახეობა. 42. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ქროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 3. ვალენსია, 5. პლანიჩკა, 9. მარდანია, 10. ბებეტო, 12. ოლსენი, 14. მალმე, 15. მარაკანა, 17. ელისი, 19. აღლუმი, 20. ელბერი, 21. მესხი, 22. კეპკე, 23. მეტეგა, 25. პერუჯა, 29. ირანი, 30 იაკუშინი, 31. ოსერი, 32. აპოელი, 34. ჟინოლა, 35. სტადიონი, 36. სალინასი, 37. ასპრილა.

ვერტიკალურად: 1. დინამო, 2. ალემაო, 4. ალტობელი, 6. კონსილია, 7. ფორვარდი, 8. ქინქლაძე, 11. ბრედა, 13. ეკელი, 14. მათეუსი, 15. მიულერი, 16. ალბერტი, 18. იანკერი, 23. ბრიტო, 24. არკონადა, 25. პრიუდომი, 26. ამორო,27. პასარელა, 28. ბელანოვი, 33. ისლასი, 34. ჟირესი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

საჭადრაკო ამოცანა

ო. მაგულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შაამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ...ეg3!

1. ...ეfc5 2. ე:g4 ეfc6 3. ეc4X.
1. ...ეfd4 2. ეc8 ეfe4 3. ეc4X.

თბილისი, 380008, ვ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმრინაშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე